დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტი

თბილისი 2020

სარჩევი

1. შესავალი
2. ობიექტს დახასიათება
3. დემონტაჟის ვადა. დემონტაჟის წარმოების მეთოდები.
4. მოთხოვნილება სატრანსპორტო საშუალებებზე. სამშენებლო და სატრანსპორტო საშუალებების უწყისი.
5. ტერიტორიის უზრუნველყოფა ენერგეტიკული რესურსებით და წყლით.
6. ადმინისტრაციულ-სამეურნეო და საყოფაცხოვრებო ნაგებობები.
7. უსაფრთხოების ტექნიკა და ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები.
8. სამშენებლო გენგეგმა.(განმარტებითი ბარათი)

   დემონტაჟის პერიოდში შესადგენი სამუშაოების ნუსხა.
9. ეკოლოგია და ბუნების დაცვის საკითხები.
10. დანართები.

    - სამშენებლო გენგეგმა 1:200

    -სამუშაოების კალენდარული გრაფიკი

1. შესავალი

წინამდებარე დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტი დამუშავებულია შენობა-ნაგებობის აზომვების საფუძველზე, მოქმედი ნორმების , წესებისა და ინსტრუქციების გათვალისწინებით. იხ. („სნ და წ-1.04,03,85“ , „სნ და წ.-3.01,01,85, „სნ და წ-3-4-80“, სნ-73),

დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტის დამუშავებისას, გათვალისწინებულია, როგორც მოსამზადებელი პერიოდის სამუშაოები,

ასევე უსაფრთხოების დაცვის, ეკოლოგიისა და გუნების დაცვის საკითხები.

2.ობიექტის დახასიათება

ქალაქ თბილისში, ფეიქრების ქუჩა #36 -ში მდებარეობს 3 პირველი კლასის სადემონტაჟო მოცულობა.(ს/კ 01.11.19.004.036*) ტერიტორიის ფართს შეადგენს 504,00 კვ.მ.*

ეს 3 ნაგებობა დგას, განაპირას, ქუჩის პირას და წარმოადგენენ სავაჭრო დანიშნულების ობიექტექტს. სამივე შენობა არის ერთსართულიანი და არის მსუბუქი კარკასის კონსტრუქციით.

ტექნიკურ ეკოლოგიური მაჩვენებლები

ტერიტორია მდებარეობს თბილისში, ფეიქრების ქუჩაზე #36-ში , ტერიტორიის ფართი არის 504,0კვ.მ სადემონტაჟო შენობა ნაგებობის საერთო ჯამური ფართია 87,68 მ². მსუბუქი კონსტრუქცია შევსებულია ბლოკით 20/20/40 და მოპირკეთებულია აგურის ფაქტური ს მცირე ზომის ფილებით.

შენობის ვიზუალი წარმოდგენილია ფოტოსურათებზე.

3. დემონტაჟის ვადა, დემონტაჟის წარმოების მეთოდები.

ობიექტის სამშენებლო მოცულობა ტოლია V=263,04 მ^3 მისი დემონტაჟისა და ტერიტორიის სამშენებლო ნაგავისგან დასუფთავების ხანგრძლივობა განსაზღვრულია „საწარმოების შენობებისა და ნაგებობების მშენებლობის ხანგრძლივობის „ შესაბამისად (სნ და წ. 1.04.03.85. და სნ. 440-72)

ნორმების მიხედვით დემონტაჟის ხანგრძლივობაა 4 თვე, მათ შორის მოსამზადებელი პერიოდის ხანგრძლივობაა - 3 კვირა.

მოსამზადებელ პერიოდში ტერიტორიაზე არ საჭიროებს ვაგონის ტიპის დროებითი ნაგებობების განთავსებას, რადგანაც არსებობს შენობა-ნაგებობა №-4 რომელშც განლაგდება ტექნიკურ პერსონალის ოთახები, მოეწყობა მუშების *გასახდელი და იარაღის შესანახი სათავსები. ობიექტზე ასევე უნდა განთავსდეს დროებითი საპირფარეშო ხელსაბანით.*

ზემოთმოხსენებული შენობა №4-ის დემონტაჟი დროებით არ განხორციელდება .

დემონტაჟის სამუშაოები იწყება ტერიტორიის დასუფთავებითა და ავარიული კონსტრუქციების ფრთხილად მოხსნა-მონგრევით.სამშენებლო ნაგავი გაგვაქვს ავტოთვითმცლელით 18 დღეში ნაგავსაყრელებზე. არსებობის შემთხვევაში ნარგავების მოჭრის საკითხი უნდა შეთანხმდეს ბუნების დაცვის შესაბამის სამსახურთან.

4. მოთხოვნილება სატრანსპორტოსაშუალებებზე სამშენებლო და სატრანსპორტო საშუალებების უწყისი

დემონტაჟის მოთხოვნილება სტრანსპორტო საშუალებებზე განისაზღვრება გამსხვილებული მაჩვენებლებით არსებული ნორმების მიხედვით (სნ-73 გვ,24)

ჩვენს შემთხვევაში დემონტაჟისა და სამშენებლო ნაგავის ტერიტორიიდან გასატანად შევაჩიეთ:

1. *ავტომთვითმცლელი ტვირთამწეობით 20,0 ტონამდე. 1ც.*
2. *ბორტებიანი სატ, ავტომობილი ტვირთამწეობით 10,0 ტონამდე 1 ც.*

სამშენებლო და სატრანსპორტო საშუალებებზე მოთხოვნათა ნაკრების უწყისი:

N	მანქანა-მექანიზმების და დანადგარების დასახელება	განზ. ერთ.	რაოდენობა	შენიშვნა
ა) სამშენებლო მექანიზმები				
1	ექსკავატორი	ცალი	1.0	ჩამჩის ტევადობით V=0.50 მ³
2	მობილური ამწე საავტომობილო სვლაზე	ცალი	1.0	L=12.0 მ Q=5.0 ტნ
ბ) სატრანსპორტო საშუალებები				
1	ავტომცლელი	ცალი	1.0	ტვირთამწეობით 20.0 ტნ-მდე
2	ბორტიანი სატვირ. ავტომობილი	ცალი	1.0	ტვირთამწეობით 10.0 ტნ-მდე
3	კომპრესორი გადასატანი	ცალი	1.0	CO-45
4	ინსტრუმენტები (ურო, ძალაყინი, წერაქვი, ნიჩაბი-3ც.) და სხვა.	კომპ.	1.0	

3. მშენებლობის უზრუნველყოფა ენერგეტიკული რესურსებით და წყლით

მშენებლობის მოთხოვნილება ელექტროენერგიაზე და სასმელ-სამეურნეო წყალზე განისაზღვრება გამსხვილებული მაჩვენებლებით. არსებული ნორმებით (სნ-73 გვ. 18) და (სნ-73გვ.12).

ჩვენს შემთხვევაში:

1. მოთხოვნილება სასმელ-სამეურნეო წყალზე შეადგენს:

0.01ლიტ/წმ

2. მოთხოვნილება ელექტროენერგიაზე შეადგენს:

2.0 კვტ.

მშენებლობის უზრუნველყოფა ელექტროენერგიით და სასმელ-სამეურნეო წყლით მიზანშეწონილია განხორციელდეს არსებული ქსელებით.

6.ადმინისტრაციულ-სამეურნეო და საყოფაცხოვრებო ნაგებობები

სამშენებლო მოედანზე გათვალისწინებულია: სამუშაოთა მწარმოებლის ოთახის, მუშების გასახდელის, საყარაულო ჯიხურის და დროებითი საპირფარეშოს მოწყობა ხელსაბანით.

დროებითი შენობა-ნაგებობების საჭირო ფართებს ვანგარიშობთ მომუშავეთა პერსონალის რაოდენობის მიხედვით (სნ-73 ცხ.52).

1. მუშების გასახდელი და ინსტრუმენტების შესანახი

F_2= 6.0 x (0.60+ 1.2)= 10.8 ~12.0 მ^2 (სნ-73 ცხ. 51).

3.0 არის მუშების საშუალო რაოდენობა;

2.საყარაულო ჯიხური 1 კაცზე

F_3= 1 x 8.0= 8.0 მ^2

3. დროებითი საპირფარეშო ერთ ადგილიანი ხელსაბანით

F_4 = 1.50 მ^2

7. სამშენებლო გენგეგმა (განმარტებითი ბარათი)

სამშენებლო გენგეგმა შედგენილია 1:200 მასშტაბში; მასზე დატანილია დროებითი გზები, წყალსადენის და ელ. მომარაგების და ტერიტორიის განათების მოწყობის სქემა, მთავარი გამანაწილებელი კარადა.

სამშენებლო მოედანი შემოღობილია ხის ღობით და მასზე განთავლებულია შემდეგი დროებითი ნაგებობები:

1. მუშების ტუალეტი -1.0 მ²
2. მუშების გასახდელი - 2.0 მ²
3. საყარაულო ჯიხური - 8.0 მ²

შენიშვნა: N. 1,2 და 3 პუნქტებში ჩამოთვლილი სათავსოების ნაცვლად შეიძლება გამოვიყენოთ ვაგონის ტიპის გადასაადგილებელი სათავსოები: (YTC H20-01-3); (YTC H20-01-6)

8. უსაფრთხოების ტექნიკა და ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები

უსაფრთხოების ტექნიკის ღონისძიებები უნდა იყოს დაცული სადემონტაჟო სამუშაოების წარმოების ყველა ეტაპზე თანახმად სნ. და წ III-4-80 უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში და სხვა ნორმატიულ-საკანონმდებლო დოკუმენტების მითითებები. მათგან ყურადღება მახვილდება შედეგზე:

1. *სამუშაო ადგილები მუშაობის პირობებისა და ტექნოლოგიურობის გათვალისწინებით უზრუნველყოფილ უნდა იყოს კოლექტიური დაცვისა და სიგნალიზაციის საშუალებებით;*
2. *მექანიზმების მუშაობის პერიოდში იკრძალება სამშენებლო ოპერაციებში დაუსაქმებელი მუშა-მომსახურეთა და უცხო პირთა სამშენებლო მოედანზე ყოფნა;*
3. *უცხო პირთა, აგრეთვე სამშენებლო ოპერაციებში დაუსაქმებელ მუშა-მომსახურეთა ყოფნა სახიფათო ზონაში დაუშვებელია;*
4. *ელექტრო უსაფრთხოების წესები ჩამოყალიბებულია სახ. სტანდარტებში 12.1.013-88 ელექტრო-კარადა ყოველთვის უნდა იყოს ჩაკეტილ მდგომარეობაში; ელექტროკაბელები, ელექტროსადენები და მოწყობილობები კი იზოლირებული. გაშიშვლებული სადენების გამოყენება აკრძალულია.*

9. ეკოლოგიისა და ბუნების დაცვის საკითხები


9.1 როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოსამზადებელ პერიოდში მოიჭრება და ამოიძირკვება ის ნარგავები, რომელთა გადარგვა შეუძლებელია ან ხმება; დანარჩენი ნარგავები და ბუჩქნარი, რომელთა გადარგვა შესაძლებელია უნდა გადავრგოთ გამწვანების ზონაში;

9.2 დემონტაჟის პროცესში აუცილებელია განხორციელდეს სპეციალური ღონისძიებები მიმდებარე ტერიტორიის დამტვერიანებისგან, დანაგვიანებისგან და საკანალიზაციო წყლებით დაბინძურებისგან თავის აცილების მიზნით;

9.3 დროებით საპირფარეშოს მოწყობისას ამოსაკეპ ორმოზე სისტემატიურად უნდა ხდებოდეს საკანალიზაციო წყლის დამუშავება სადეზინფექციო სითხითა და ქლორით;

9.4 მწვანე ნარგავების მოჭრა და გადარგვა უნდა მოხდეს გარემოს დაცვის სამსახურთან შეთანხმებით, სათანადო ნებართვების მიღების შემდეგ.

WWW.METRI.GE



გენ გეგმა

ექსპლიკაცია :

1.სადემონტაჟო შენობა
2.სამშენებლო ნარჩენის დასაყრელი ადგილი
3. პროჟექტორი
4.დროებითი გზა
5. თვითმცლელი, 20 ტონიანი
6.მუშების საპირფარეშო და გასახდელი

თბილისი 2020 წ

დაკვეთა №1 ფორმატი A3

ექსპლიკაცია

ჰირობითი ნიშნები:

შენიშვნები:

დამკვეთი: შ.პ.ს "სამთა"
ს.კ 204896899

თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა
დირექტორი	ნ.ალფაიძე	
დაამუშავა	ე.იმედაშვილი	
შეამოწმა		

შენობა №1 №2 №3
სავაჭრო ობიექტი

სტადია	ფურცელი	ფურცლები
პროექტი	0	0

მაშტაბი
1: 100

საპროექტო ლოგო | მისამართი

ქ. თბილისი

ტელ: 5 77 77 55 91

www.metri.ge

ქ.თბილისი ფეიქრების ქუჩა №36, ს/კ 01.11.19.004.036

დემონტაჟის წარმოების კალენდარული გეგმა-გრაფიკი

	სამუშაოების ჩამონათვალი	I თვე				II თვე				III თვე				IV თვე			
		1	2	3	4	1	2	3	4	1	2	3	4	1	2	3	4
1	მოსამზადებელი სამუშაოები																
2	გადახურვის დემონტაჟი																
3	კედლების დემონტაჟი																
4	ტერიტორიიდან ნაგვის გატანა/დასუფთავება																

შეასრულა : ელენე იმედაშვილი

ქ.თბილისი ფეიქრების ქუჩა №36

ს/კ 01.11.19.004.036

საწყობი

განმარტებითი ბარათი

I. შესავალი

საქართველოს ნოტარიუსთა პალატის შენობის რეკონსტრუქცია-მშენებლობის პრო-ექტი დამუშავებულია შპს "თბილქალაქპროექტი-სტუდია 3"-ის მიერ, დამკვეთისაგან მიღე-ბული ტექნიკური დავალების თანახმად.

წინამდებარე "მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი" დამუშავებულია მუშა პროექ-ტის მასალების საფუძველზე, შემდეგი მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების (სნდაწ) და ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების თანახმად:

7. სნდაწ 3.01.01-85* - "სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია"
8. სნდაწ 1.04.03-85 – "მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმები"
9. სნდაწ 3.02.01-87 – "მიწის ნაგებობები ფუძეები და საძირკვლები".
10. სნდაწ III-4-80* - "უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში"
11. ტექნიკური რეგლამენტი – "მშენებლობის უსაფრთხოების წესები"
12. ტექნიკური რეგლამენტი – "შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესები"

და ასევე სხვა ტექნიკურ-ნორმატიული დოკუმენტაციის საფუძველზე.

თანახმად სნდაწ 3.01.01-85* "სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია" მოთხოვნისა, მშენებლობის დაწყებამდე აუცილებლად უნდა დამუშავდეს "სამუშაოთა წარმოების პრო-ექტი", აკრძალულია მშენებლობის დაწყება დამტკიცებული "სამუშაოთა წარმოების პრო-ექტი"-ს გარეშე.

დამკვეთმა აუცილებლად უნდა განახორციელოს ტექნოკური ზედამხედველობა სამუშაოთა წარმოებაზე.

II. მშენებლობის დახასიათება

წარმოდგენილი საპროექტო ობიექტი მდებარეობს ქ.თბილისში, ფეიქრების ქ.#36 (ს.კ. 01.11.19.004.036) ტერიტორიის მიწის ფართი შეადგენს 504.00 კვ.მ. ტერიტორიაზე განთავსებულია 4 მცირე ზომის მოცულობა. სადემონტაჟო 3 ნაგებობა დგას, განაპირას, ქუჩის პირას და წარმოადგენენ სავაჭრო დანიშნულების ობიექტექტს. სამივე შენობა არის ერთსართულიანი და არის მსუბუქი კარკასის კონსტრუქციით. საპროექტო ტერიტორია ხასიათდება სწორი რელიეფით, საპროექტო ობიექტი არის ორსართულიანი საწყობი.ობიექტის ადგილმდებარეობიდან გამომდინარე გადავწყვიტეთ, რომ მისი ფასადი მოპირკეთებულიყო ბეტონის ფაქტურიანი ფილებით. საპროექტო ობიექტის აბსოლუტურ ნულია 425.83.

ახალი შენობა გადაწყვეტილია შემდეგ კონსტრუქციებში:
საძირკვლები – წერტილოვანი, მონოლითური რკ/ბეტონის.
საძირკვლის კოჭები - მონოლითური რკ/ბეტონის.
სვეტები - მონოლითური რკ/ბეტონის.
რიგელები - მონოლითური რკ/ბეტონის.
სართულშუა გადახურვა - მონოლითური რკ/ბეტონის ფილა.
სვეტები - მონოლითური რკ/ბეტონის.
რიგელები - მონოლითური რკ/ბეტონის.
გადახურვა - მონოლითური რკ/ბეტონის ფილა.

III. მშენებლობის ხანგრძლივობა

შენობის მშენებლობის სამუშაოთა წარმოების ხანგრძლივობა განსაზღვრულია სნდაწ 1.04.03-85-ის "მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმების" და "დამხმარე მშენებლობის ხანგრძლივობის განსაზღვრისთვის" საფუძველზე და შეადგენს სამუშაოთა დაწყებიდან 24 თვეს, მათ შორის მოსამზადებელი პერიოდის ხანგრძლივობა – 1 თვე.

ცალკეულ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ხანგრძლივობა და ტექნოლოგიური თანმიმდევრობა მოცემულია "სამუშაოთა წარმოების კალენდარულ გეგმა"-ში.

IV. მშენებლობის რიგობრიობა და ეტაპები

შენობის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები სწარმოებს ორ რიგად:
I რიგი – მოსამზადებელი სამუშაოები;
II რიგი – ძირითადი სამუშაოები;

მოსამზადებელ სამუშაოებს მიეკუთვნება:

1. სამშენებლო მოედნის შემოღობვა საჩეხიანი დროებითი ღობით, თანახმად ГОСТ 23407-78
2. დროებითი ელ.მომარაგების და დროებითი წყალმომარაგების შიგასამოედნო ქსელების მოწყობა;
3. დროებითი შენობა-ნაგებობების მოწყობა;
4. დროებითი ღია სასაწყობო მოედნების მოწყობა;
5. დროებითი დახურული გასასვლელის მოწყობა ფეიქრების ქ-ზე (ფეხით მოსიარულეთათვის).
6. სახიფათო ზონების აღნიშვნა კარგად დასანახი და განათებული სიგნალებით და ნიშნებით.

ძირითად სამუშაოებს მიეკუთვნება:
<u>I ეტაპი</u> – მიწის სამუშაოები
<u>II ეტაპი</u> – წერტილოვანი საძირკვლების და საძირკვლის კოჭების მოწყობის სამუშაოები;

<u>III ეტაპი</u> – ნულისზედა ციკლის კარკასის მოწყობის სამუშაოები (სვეტები, რიგელები, გადახურვის ფილები, ლითონის სვეტები, ფერმები, გრძივები), სახურავის მოწყობა, ულისზედა კარკასის კედლების და ტიხრების მოწყობა, სახურავის მოწყობა.

<u>IV ეტაპი</u> - კარ-ფანჯრების მოწყობა, შიგა და გარე კომუნიკაციების მოწყობა, იგა და გარე მოპირკეთების სამუშაოები, ატაკების მოწყობის სამუშაოები.

<u>V ეტაპი</u> – ტერიტორიის კეთილმოწყობის და გამწვანების სამუშაოები.

V. სამუშაოთა წარმოების ძირითადი მეთოდები.

სამუშაოების დაწყებამდე დაზუსტდეს არსებული მიწისქვეშა კომუნიკაციების განლაგება.

შენობის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები ხორციელდება შემდეგნაირად (სამშენებლო ტექნოლოგიის სრული დაცვით):

ა) <u>მიწის სამუშაოები</u>

ქვაბულის დამუშავება ხორციელდება ექსკავატორით "უკუჩამჩა", ჩამჩის ტევადობით 1.0 მ^3. უკმარნაკრების დამუშავება სწარმოებს ხელით.

ქვაბულში გრუნტის უკუჩაყრა ხორციელდება მცირეგაბარიტიანი ბულდოზერით "ბობკატი" და ხელით. უკუჩაყრილი გრუნტის დატკეპვნა ხორციელდება ხელის მტკეპნავებით.

ზედმეტი გრუნტის გატანა სამშენებლო მოედნიდან ხდება ავტოთვითმცლელებით.

მიწის სამუშაოების წარმოებისას დაცული უნდა იქნეს სნდაწ 3.02.01-87-ის "მიწის ნაგებობები, ფუძეები და საძირკვლები"-ს მოთხოვნები და სნდაწ III-4-80*-ის "უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში" მოთხოვნები, ასევე უსაფრთხოების ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნები.

ბ) <u>სამშენებლო-სადემონტაჟო სამუშაოები</u>

შენობის სამსენებლო-სარემონტო სამუსაოები სწარმოებს საავტომობილო ამწის საშუალებით, ტვირთამწეობით 25 ტ.

სამუშაოების წარმოებისას საავტომობილო ამწე მოძრაობს შენობის შიდა ეზოში მიბმით შენობასთან 1.6 მეტრზე (იხ. "სამშენებლო გენგეგმა").

საავტომობილო ამწე მუშაობს როგორც ისრულ, ასევე ისრულ-ბატიყელიან შესრულებაში. სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების დამთავრების შემდეგ საავტო-მობილო ამწე შიდა ეზოდან გამოდის ფეიქრების ქუჩაზე

საავტომობილო ამწით ხდება შენობის აშენებულ სართულებზე სამშენებლო მასა-ლების ნაკეთობების, ნახევარფაბრიკატების და კონსტრუქციების მიწოდება, ასევე ყალიბებისა და დომკრატების მიწოდება.

ბეტონის მიწოდება ჩალაგების ადგილებზე ხდება სტაციონალური პომპის მეშვეობით, რომელიც დგას შენობასთან შიდა ეზოში.

ბეტონის ნარევის ჩალაგებისას აუცილებლად უნდა მოხდეს მისი ვიბრირება.

ბეტონის მიწოდება სტაციონალური პომპისათვის ხდება ბეტონმიქსერებით.

ყველა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაო უნდა შესრულდეს მათი წარმოების სრული ტექნოლოგიური პროცესების დაცვით და უსაფრთხოების მოქმედი ნორმების და წესების მკაცრი დაცვით.

VI. საჭირო მანქანა-მექანიზმები და ტრანსპორტი

შენობის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების შესასრულებლად საჭიროა შემდეგი მანქანა-მექანიზმები:

1	ექსკავატორი (უკუჩამჩა) ტევადობით 1.0 მ^3	1 ც
2	ექსკავატორი-კოდალა (საჭიროების შემთხვევაში)	1 ც
3	ბულდოზერი მცირეგაბარიტიანი "ბობკატი"	1 ც
4	საავტომობილო ამწე ტვირთამწეობით 25 ტონა	1 ც
5	სტაციონალური პომპა	1 ც
6	ბეტონმიქსერი	1 ც
7	ავტოთვითმცლელი (კამაზის ტიპის)	1 ც
8	ბორტული ავტომანქანა	1 ც
9	სპეციალიზირებული ტრანსპორტი (არმატურა, ლითონკონსტრუქციები)	1 ც
10	მოძრავი კომპრესორი	1 ც
11	სანგრევი ჩაქუჩი (პნევმატური)	1 ც
12	ხელის მტკეპნავი	1 ც
13	ელექტრული ჭრის მექანიზმი	1 ც
14	მცირე მექანიზაციის საშუალებები	1 კომპ
15	ელექტროტუმბო	1 ც

შესაძლებელია ზემოაღნიშნული მანქანა-მექანიზმების და ტრანსპორტის შეცვლა ანალოგიური მახასიათებლების მქონე მანქანა-მექანიზმებით და ტრანსპორტით.

VII. მშენებლობის უსაფრთხოება

შენობის მოწყობის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების წარმოებისას მკაცრად უნდა იქნას დაცული III-4-80*-ის "უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში" მოთხოვნები, ტექნიკური რეგლამენტის "მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ" და ტექნიკური რეგლამენტის "შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესები"-ს მოთხოვნები, ასევე ხანძარსაწინააღმდეგო ნორმების მოთხოვნები.

აკრძალულია უცხო პირთა ყოფნა სამშენებლო მოედანზე და განსაკუთრებით სახიფათო ზონის ფარგლებში.

სამშენებლო მოედანზე წარმოშობილი ყველა სახიფათო ზონა უნდა აღინიშნოს კარგად დასანახი ნიშნებითა და სიგნალებით და შემოღობილ იქნას.

სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე დაზუსტებულ იქნას არსებული მოწისქვეშა კომუნიკაციების განლაგების ადგილები მათ მფლობელ ორგანიზაციათა წარმომადგენლებთან ერთად. არსებული მიწისქვეშა და მიწისზედა ქსელები დაცული იქნას დაზიანებისაგან.

აკრძალულია სამშენებლო მანქანა-მექანიზმების მუშაობა უშუალოდ მოქმედი ელექტროგადამცემი ხაზების ქვეშ.

მოქმედი ელექტროგადამცემი ხაზების სიახლოვეს სამშენებლო მანქანა-მექანიზმების მუშაობა დასაშვებია მხოლოდ დამშვები-განწესის საფუძველზე.

ფეიქრების ქუჩაზე დროებითი ღობის გარე კონტურზე ეწყობა დახურული გასასვლელი ფეხით მოსიარულეთათვის, სიგანით 1.0 მ. (იხ. "სამშენებლო გენგეგმა").

მომიჯნავედ არსებულ საცხოვრებელ ეზოებში სამშენებლო სამუშაოთა წარმოებისას წარმოშობილი სახიფათო ზონები შეძლებისდაგვარად შემოიღობოს მომიჯნავეებთან შეთანხმებით (იხ, "სამშენებლო გენგეგმა").

მშენებლობაზე დასაქმებულ მუშაკებს სისტემატურად უნდა ჩაუტარდეთ ინსტრუქტაჟი უსაფრთხოების საკითხებზე. აკრძალულია მათი დაშვება სადემონტაჟო სამუშაოებზე ინსტრუქტაჟის გავლის გარეშე.

აკრძალულია სამსენებლო მოედანზე ადამიანთა ყოფნა დამცავი ჩაფხუტის გარეშე.

სამსენებლო-სამონტაჟო სამუსაოებზე დასაქმებული მუშები უნდა იყვნენ აღჭურვილი ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით (დამცავი ჩაფხუტი; რეზინის ფეხსაცმელები და ხელთათმანები; უსაფრთხოების ქამარი; დამცავი სათვალე და სხვა).


ყველა მუშა უნდა იმყოფებოდეს უშუალოდ თავის სამუშაო ადგილზე, მოერიდოს სახიფათო ზონებში გადაადგილებას და ყოფნას.

სამშენებლო მოედანზე მიღებულ იქნას ზომები გარემოს დაბინძურებისაგან დასაცავად.

ქ.თბილისი ფეიქრების ქუჩა №36, ს/კ 01.11.19.004.036

სამუშაოთა ჩამონათვალი	1 თვე			2 თვე			3 თვე			4 თვე			5 თვე			6 თვე			7 თვე			8 თვე			9 თვე			10 თვე			11 თვე			12 თვე			13 თვე			14 თვე			15 თვე			16 თვე			17 თვე			18 თვე			19 თვე			20 თვე			21 თვე			22 თვე			23 თვე			24 თვე		
	10	20	30	10	20	30	10	20	30	10	20	30	10	20	30	10	20	30	10	20	30	10	20	30	10	20	30	10	20	30	10	20	30	10	20	30	10	20	30	10	20	30	10	20	30	10	20	30	10	20	30	10	20	30	10	20	30	10	20	30	10	20	30	10	20	30
მოსამზადებელი სამუშაოები და მიწის სამუშაოები		

გენ გეგმა



ექსპლიკაცია :

1. საპროექტო შენობა-ნაგებობა
2. სამშენებლო მასალების განთავსების ადგილი
3. პროექტორი
4. სამშენებლო ტექნიკის მოძრაობის სქემა
5. მუშების საპირფარეშო და გასახდელი
6. საავტომობილო ამწე

მისამართი	ფეიქრების ქუჩა 36
საკადასტრო კოდი	01.11.19.004.036
ფუნქცია	
პრ. ავტორი	დ. შათაშვილი
არქიტექტორი	გ. ლექავა